



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
30 მარტი 2020


ეკონომიკა

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2020 წლის თებერვალში წლიურად 19.6%-ით გაიზარდა და 31.6 მლრდ ლარი შეადგინა (+18.1% გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2020 წლის თებერვალში წლიურად 15.8%-ით გაიზარდა 26.5 მლრდ ლარამდე (+13.5% გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2020 წლის თებერვალში დეპოზიტების დოლარიზაციამ 61.7% (-0.61პპ წ/წ და -1.63პპ თ/თ), ხოლო სესხების დოლარიზაციამ 54.3% (-2.43პპ წ/წ და -0.83პპ თ/თ) შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 2.2%-ს გაუტოლდა (-0.74პპ წ/წ და უცვლელი თ/თ).

საგადასახდელი ბალანსი: ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 5.1%-მდე შემცირდა და 897.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირებაზე, ტრადიციულად, ძირითადი ზეგავლენა საქონლით ვაჭრობის უარყოფითმა ბალანსმა იქონია, რომელიც წლიურად 9.3%-ით შემცირდა 3.7 მლრდ აშშ დოლარამდე (მშპ-ის 21.0%). ამასთან, მომსახურებით ვაჭრობის (მშპ-ის 12.2%) და მიმდინარე ტრანსფერტების (მშპ-ის 7.7%) დადებითმა ბალანსმა ერთად საქონლით ვაჭრობის დეფიციტის 95% დააფინანსა. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მშპ-ის 5.6%, +0.3პპ წ/წ) და პორტფელის ინვესტიციები (მშპ-ის 4.0%) მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენდნენ.

სავალუტო ინტერვენციები: 2020 წლის 25 მარტს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ლარის მხარდასაჭერად 40.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ამასთან, წლის დასაწყისიდან სებ-მა 100.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია




წყარო: სებ

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019E
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	11,485	12,417	13,559
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,763
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.4%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	39.8%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB სტაბილური განახლებული ოქტომბერი-2019	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2019	FitchRatings BB სტაბილური დადასტურებული თებერვალი-2020
--	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 25 მარტს 5-წლიანი 80 მლნ ლარის (24.7 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახლოებით 1.5-ჯერ მაღალი იყო. ხოლო, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა და 9.638% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2020 წლის 7 აპრილს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 70 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2020 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	110	180	320
1-წელი	150	450	560
2-წელი	210	630	1,070
5-წელი	240	720	1,543
10-წელი	30	120	523
სულ	740	2,100	4,015


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 4.52%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 104.50 (+1.98% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 95.03 (-1.21% წინა კვირასთან შედარებით), 7.61%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 96.12 (-0.82% წინა კვირასთან შედარებით), 10.66%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 99.93 ფასად (-2.64% წინა კვირასთან შედარებით), 7.77%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.72 (+0.33% წინა კვირასთან შედარებით), 6.14%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	100.72	6.14	559.13
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	99.93	7.77	730.08
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB/-	96.12	10.66	1,047.09
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	Jun-20	BB-/B/Ba2	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	104.50	4.52	430.06
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	97.52	10.12	1,097.13
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B+/B2	95.03	7.61	728.89
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/-/B1	85.74	15.95	1,548.33
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	100.07	5.73	516.81
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-	99.53	10.47	1,054.65

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	98.38	8.50	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	96.67	9.00	n/a
GLC 08/20	US\$	10	7.00%	Aug-20	B+/-/-	99.99	7.00	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/-/-	100.0	7.50	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/-/-	98.72	8.50	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B/-/-	100.00	13.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/B/-	100.00	15.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Baa2	100.72	6.14	559.13
Armenia	US\$	500	6.000%	Sep-20	BB-/Ba3	99.81	6.40	505.29
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-Ba2	98.47	3.94	340.82
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	98.27	7.55	722.25
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	101.65	3.48	305.77
Russia	US\$	3,500	5.000%	Apr-20	BBB/BBB-/Baa3	100.14	3.20	156.80
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B1	100.11	5.51	475.33
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/Caa1	96.40	10.54	999.05

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 9.66 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.17% წინა კვირასთან შედარებით და -42.90% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 571 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.74 – 11.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 129 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 4.32 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +12.21% წინა კვირასთან შედარებით და -39.83% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 134 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.68 – 5.02 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 56 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 7.41 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.35% წინა კვირასთან შედარებით და -42.74% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 652 ათასს გადააჭარბა, GBP 6.35 – 9.11 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 171 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 0.77 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.78% წინა კვირასთან შედარებით და -38.23% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 239 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 0.67 – 0.83 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 61 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	9.66	475	-27.9%	-42.2%	-40.6%	3.72x	3.91x	0.82x	0.70x
TBC	TBC	GBP	7.41	408	-40.0%	-51.2%	-43.0%	2.89x	2.90x	0.56x	0.58x
Halyk Bank	HSBK	US\$	8.86	2,604	-26.2%	-23.6%	-33.6%	3.10x	n/a	0.74x	0.67x
VTB Bank	VTBR	US\$	0.79	5,093	-40.5%	-32.8%	-46.3%	1.94x	2.18x	0.29x	0.23x
Akbank	AKBNK	TRY	5.53	28,756	-33.1%	0.0%	-31.8%	4.91x	3.62x	0.51x	0.46x
Garanti	GARAN	TRY	7.88	33,096	-23.7%	2.3%	-29.3%	4.71x	3.61x	0.56x	0.53x
Isbank	ISCTR	TRY	4.69	21,105	-26.1%	-12.7%	-26.8%	3.33x	2.72x	0.35x	0.33x
PKO	PKO	PLN	22.75	28,438	-43.2%	-41.5%	-34.0%	6.25x	6.58x	0.64x	0.66x
PEKAO	PEO	PLN	55.32	14,520	-46.6%	-49.7%	-44.9%	6.15x	5.96x	0.58x	0.60x
Millennium	MIL	PLN	3.30	3,998	-44.6%	-64.4%	-43.7%	5.04x	4.36x	0.41x	0.41x
Mbank	MBK	PLN	222.00	9,399	-38.8%	-48.6%	-43.0%	7.02x	6.78x	0.53x	0.54x
BRD	BRD	RON	11.52	8,028	-19.4%	-12.5%	-27.3%	5.10x	6.90x	0.98x	1.04x
Banca Transilvania	TLV	RON	1.77	9,253	-27.3%	-9.4%	-31.6%	4.91x	6.19x	1.01x	1.05x
OTP	OTPD	USD	22.80	12,768	7.5%	0.0%	7.5%	9.60x	10.31x	0.82x	0.75x
Komerční	KOMB	CZK	490.00	93,124	-39.0%	-48.2%	-40.9%	5.69x	6.94x	0.81x	0.84x
საშუალო								4.96x	5.21x	0.64x	0.63x
მედიანა								4.91x	5.16x	0.58x	0.60x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	4.32	159	-57.9%	-60.6%	-53.1%	5.78x	4.39x	0.41x	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	12.40	338	-6.9%	5.7%	-7.1%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	7.51	15,323	-21.9%	1.8%	-21.3%	3.71x	2.95x	0.43x	0.42x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	26.80	403	-15.3%	-18.3%	-32.1%	9.84x	20.79x	0.88x	0.88x
Eurazeo	RF	EUR	40.16	3,163	-40.8%	-37.1%	-34.2%	9.73x	72.21x	0.59x	0.55x
Carlyle Group	CG	USD	22.74	2,517	-11.5%	24.9%	-29.1%	13.13x	9.86x	1.41x	1.89x
საშუალო								8.44x	22.04x	0.74x	0.94x
მედიანა								9.73x	9.86x	0.59x	0.72x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		EV/EBITDA	
								2019F	2020F	2019F	2020F
GHG	GHG	GBP	0.77	101	-61.7%	-61.7%	-37.7%	7.93x	6.89x	4.29x	4.13x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	76.80	7,680	-11.7%	-2.8%	-12.7%	19.68x	17.52x	13.61x	11.66x
Fortis	FORH	INR	128.95	97,352	-5.6%	-6.2%	-2.2%	1.53x	1.48x	6.46x	6.61x
Raffles	RFMD	SGD	0.78	1,426	-22.0%	-27.1%	-22.0%	22.79x	24.75x	14.75x	14.75x
IHH	IHH	MYR	5.30	46,502	-7.0%	-8.6%	-3.1%	49.41x	45.18x	14.43x	14.44x
Bangkok Chain	BCH	THB	11.60	28,927	-26.1%	-31.8%	-32.2%	22.50x	21.99x	12.94x	12.27x
Netcare	NTC	ZAR	14.17	20,573	-20.8%	-41.7%	-27.2%	8.05x	10.32x	5.38x	5.96x
Life Healthcare	LHC	ZAR	18.43	27,043	-19.9%	-31.4%	-25.2%	13.35x	11.48x	6.13x	6.06x
Mediclinic	MDC	GBP	2.98	2,194	-12.7%	-2.6%	-27.7%	10.63x	11.56x	7.75x	6.96x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,167.00	162,359	-16.7%	1.1%	-19.1%	54.53x	47.76x	17.60x	13.12x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	0.92	3,921	4.0%	-8.0%	-3.2%	19.92x	19.13x	9.50x	9.04x
NMC	NMC	GBP	9.38	1,959	-66.1%	-57.2%	-46.9%	9.39x	7.03x	9.99x	8.54x
საშუალო								19.98x	18.76x	10.24x	9.46x
მედიანა								16.51x	14.54x	9.74x	8.79x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საგრძნობლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge